ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის ნოემბრის 2	№ 12 ვანყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 743. კეროსინის ფასის შესახებ.

„ 744. მაზუთის ფასის შესახებ.

„ 745. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების საკონფლიქტო-შემთანხმებელი ორგანოების მიმართ ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ გადაწყვეტილებათა გამოტანის სფეროში.

„ 746. სოციალური დაზღვევის ორგანოების კუთვნილი ფულადი თანხებისა და სხვა ფასეულობის საგარანტიო დაზღვევის შესახებ.

„ 747. რევოლიუციის წინა დროის საუწყებო პენსიონერებისათვის მისაცემი პენსიის რაოდენობის შესახებ.

„ 748. „სამუშაო ხელფასი"-ს ცნების განსაზღვრის შესახებ სარკინისგზო და წყლის ტრანსპორტისათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის გამოსაანგარიშებლად.

„ 749. სომხეთის სსრ ნორ-ბაიაზეთისა და ლელიკანის მაზრების სოფლის მოსახლეობის 1926-27 წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის წესის შესახებ.

„ 750. მიწისძვრისაგან დაზარალებული ქალ. ლენინაკანისა და მისი რაიონების მოსახლეობისათვის ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების გადახდევინების შეჩერების შესასებ.

„ 751. რკინის გზის საშეღავათო ბლანკებით უმუშეკართა გადაყვანის შესახებ.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1391. დაიბეჭდა 800.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 54/110 ა/კსფსრ შინა-ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. ოქტომბრის 13.

743. კეროსინის ფასის შესახებ.

ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926 წ. ოქტომბრის 5-ს თარიღითა და 43—99 №-რით გამოცემული, დადგენილების დასამატებლად, ადგენს:

§ 1. ქალ. ტფილისში კეროსინის ლიტრობით გაყიდვისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი საგასაცემო ფასი: 1 ლიტრი—8 კაპ.; $^1/_2$ ლიტრი—4 კაპ.

§ 2. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში უნდა დააწესონ ლიტრზე უკიდურესი საგასაცემო ფასი ქალ. ბაქოსა, ბათუმსა და ერივნისათვის.

§ 3. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1302 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 55/111 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. ოქტომბრის 18.

744. მაზუთის ფასის შესახებ.

რადგანაც ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ მაზუთის ფასის შესახებ ა/წ. ოქტომბრის 5-ს თარიღითა და 51-107 №-რით გამოცემული დადგენილების 1-ლ §-ში წაცდენილია შეცდომა, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

§ 1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საქართველოს სათბობი მასალის სამმართველომ მაზუთი უნდა გაჰყიდოს ფრანკო—თავისი საწყობი შემდეგი ფასით: 4,33 კაპ. თითო კილოგრამმი.

§ 2. დადგენილება ესე ძალაში შედის ა/წ. ოქტომბრის 8-დან.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1302 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 15-ს.

ცირკულარი № 47 აკ. შრომის სახალხო კომისარიატისა

745. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების საკონფლიქტო-შემთანხმებელი ორგანოების მიმართ ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ გადაწყვეტილებათა გამოტანის სფეროში.

იმისდამიუხედავად, რომ ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ არაერთხელ იყო აღნიშნული რესპუბლიკანური შრომის სახალხო კომისარიატების მიერ ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატში ზედამხედველობის წესით წარმოდგენილ საკონფლიქტო საქმეების დეფექტები და ნაკლი,—მაინც იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც აღნიშნულ საქმეებში არ მოიპოვება საჭირო მასალა, რაზედაც დამყარებულია საკონფლიქტო-შემთანხმებელი ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი. აღნიშნული მასალების უქონლობა, რასაც საქმის განხილვის დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს, ზედმეტ მიწერ-მოწერას იწვევს და კონფლიქტის გადაწყვეტილებას აჭიანურებს.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში, მომრიგებელ კამერაში და სამედიატორო სასამართლოში საკონფლიქტო საქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხილვის დროს დაცული არ არის კონფლიქტის განხილვის ფორმალური მხარე, რაც გათვალისწინებულია საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიისა, მომრიგებელი კამერისა და სამედიატორო სასამართლოს დებულებით. მაგალითად, სამედიატორო საქმეში არ მოიპოვება ხოლმე სამედიატორო წერილი (მხარეთა თანხმობა კონფლიქტის განხილვაზე) და სხვ., მაშინ, როდესაც ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის ა/წ. თებერვლის 17-ს თარიღისა და მე-7 №-რის დადგენილების (გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 1131 №-ში 1926 წ. მარტის 23-ს) 1-ლი მუხლის თანახმად, სამედიატორო წერილის შედგენა სავალდებულო არ არის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიატორო სასამართლო შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოსთან მოეწყობა ერთი მხარის მოთხოვნით, შრომის კანონთა კოდექსის 171 მუხლის მე-2 ნაწილის წესისამებრ; სხვა დანარჩენ შემთხვევაში სამედიატორო წერილის შედგენა სავალდებულოა და ასეთი სამედიატორო წერილის საქმეში არქონას შეუძლიან გამოიწვიოს სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება.

იყო აგრეთვე შემთხვევა, როდესაც საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიაში კონფლიქტი საბოლოოდ იქნა გადაწყვეტილი, მაშინ, როდესაც საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის ერთი წევრის თანხმობა არ ყოფილა მიღებული, რაც ძირითად ეწინააღმდეგება საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის დებულებას და ყოვლად მიუღებელია. საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარენი სრული თანახმანი არიან ამისა (ა/კ. შრ. სახ. კ-ტის 1922 წ. ნოემბრის 27-ს თარიღისა და 22 №-რის დადგენილების 22 მუხ.,—შრომის მომქმ. კანონმდ. კრებ., 1926 წ. გამოც.); წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე წარმართულ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოში, ა/კ. შრომის სახალხო კ-ტის ზემოაღნიშნული—22 №-რის—დადგენილების 28 მუხლის თანახმად.

ასეთი მოვლენა, იმის გარდა, რომ კონფლიქტის გადაწყვეტას აჭიანურებს და საკონფლიქტო-შემთანხმებელი ორგანოების გადაწყვეტილების გაუქმებას იწვევს, ჰქმნის—აგრეთვე ერთის მხრით—ისეთ გარემოებას, რომ კონფლიქტით დაინტერესებულ მშრომელს დაწესებულიდან დაწესებულებაში უხდება სიარული და უნაყოფოდ ეკარგება დრო, ხოლო მეორე მხრით—ადიდებს დაწესებულებისა და საწარმოს ხარჯებს და მათ მატერიალურ პასუხისმგებლობას კონფლიქტის გაჭიანურების გამო.

რადგანაც ასეთი მოვლენა ყოვლად შეუსაბამოა და სახელმწიფოს მატერიალურ ზიანს აყენებს, ხოლო მშრომელთ ხახდახან აუტანელ მდგომარეობაში აგდებს, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ—გააძლიეროთ შემდეგში ზედამხედველობა საკონფლიქტო-შემთანხმებელი ორგანოების მიმართ, რათა კონფლიქტების განხილვის დროს ამ ორგანოებმა ზედმიწევნით დაიცვან კანონით განსაზღვრული საპროცესო ნორმები და სისწორით იხელმძღვანელონ შრომის მომქმედი კანონმდებლობა.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

იურისკონსულტი **კ. აბაშიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1303 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 16-ს.

ცირკულიარი № 49 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. ოქტომბრის 14.

746. სოციალური დაზღვევის ორგანოების კუთვნილი ფულადი თანხებისა და სხვა ფასეულობის საგარანტიო დაზღვევის შესახებ.

რათა განხორციელებულ იქნეს ადგილობრივ საგარანტიო დაზღვევა სოციალური დაზღვევის ორგანოების კუთვნილი ფულადი თანხებისა და სვა ფასეულობისა, რაც თანამდებობის პირებთან ინახება, მაგალითად: მოლარესთან, უდავო-იძულებითი გადახდევინების ინსპექტორთან, დამზღვევი პუნქტის გამგესთან, რწმუნებულთან, საქონლის დამზადების აგენტთან, მეურნეობის გამგესთან, მესაგანძურესთან, კასტელან-ქალთან და სხვ., ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. მიეწეროს სოციალური დაზღვევის ყველა ორგანოს და მათ ქვემდებარე დაწესებულებებს (სანატორიუმს, დასვენების სახლს, საინვალიდო სახლს და სხვ.), რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუზღვევიათ საგარანტიო დაზღვევით ფულადი თანხები, ქონება, მასალა და სხვა ფასეულობა, რაც სოციალური დაზღვევის ორგანოებს ეკუთვნის და თანამდებობის პირებთან ინახება,—დაზღვევონ აღნიშნული ფასეულობა სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივ ორგანოებში. სადასაზღვეო თანხა განისაზღვრება სახელმწიფო დაზღვევის ორგანოსა და სოციალური დაზღვევის ორგანოს ან მისი ქვემდებარე დაწესებულების ადმინისტრაციის შეთანხმებით, იმ ანგარიშის მიხედვით, თუ რა საშუალო დღიური ღირებულებას შეადგენს თვითეული თანამდებობის პირის ხელში ქონებული ფასეულობა.

2. მიეწეროს სოციალური დაზღვევის ორგანოებს და მათ ქვემდებარე დაწესებულებებს, რომელთა თანამდებობის პირნი, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულნი, წევრნი არიან პასუხსაგები შრომის არტელებისა ან ანალოგიური ორგანიზაციებისა,—დაზღვეონ აგრეთვე მათ განკარგულებაში ქონებული ფასეულობა საგარანტიო დაზღვევის წესით იმის შემდეგ, რაც გაუქმებულ ან მოშლილ იქნება განსაზღვრული წესისამებრ პასუხსაგები შრომის არტელებთან ან მათ თანაბარ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებანი.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოციალური დაზღვევის
მთავარი სამმართველოს უფრ. მაგ. **ბულდანოვი.**

საფონდო განყოფ. გამგე **სოკოლოვი.**

შეთანხმებულია: ა/კ. სახელ. დაზღვ. გამგეობა **სტეფანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1303 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 16-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 56 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. ოქტომბრის 9.

747. რევოლიუციის წინა დროის საუწყებო პენსიონერებისათვის მისაცემი პენსიის რაოდენობის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 9-ს თარიღისა და 206/917 №-რის დადგენილება „რევოლიუციის წინა დროის პენსიონერებისათვის მისაცემი პენსიის რაოდენობის შესახებ“.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოციალური დაზღვევის
მთავარი სამმართველოს უფრ. მაგ. **ბუღდანოვი.**

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

1926 წ. სექტემბრის 9. № 206/917.

რევოლიუციის წინა დროის საუწყებო პენსიონერებისათვის მისაცემი პენსიის რაოდენობის შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. აგვისტოს 28-ს დამტკიცებული „შრომის ინვალიდებისა და უკვალოდ დაკარგულ დაზღვეულთა და შრომის ინვალიდთა ოჯახების სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფის შესახები დებულების“ (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 57 №-რი, მუხ. 429) მე-6 მუხლის თანახმად და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის წესით გასაცემი პენსიის ნორმის შესახებ“ 1926 წ. იანვრის 4-ს თარიღითა და 6/900 №-რით გამოცემული დადგენილების (სსრკ შრ. სახ. კ-ტის „იზვესტია“-ს 1926 წ. მე-3 №-რი) დასამატებლად, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს:

1. არ იქნეს გავრცელებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს ზემოაღნიშნული—1926 წ. იანვრის 4-ს თარიღისა და 6/900 №-რის—დადგენილების მოქმედება იმ პენსიონერებზე, რომელთაც შრომის უნარი რევოლიუციის წინა დროს (1917 წ. ოქტომბრის 25-დე ძვ. სტ.) დაკარგეს და რომელნიც, როგორც სახელმწიფო მოხელენი, საუწყებო წესით დანიშნულ პენსიას იღებდნენ, აგრეთვე აღნიშნულ პირთა ოჯახებზე, უკეთუ ეს პირნი რევოლიუციის წინა დროს გარდაიცვალნენ.

2. 1-ლ მუხ. აღნიშნულ პირთ პენსია მიეცეს 1925 წ. ივლისის 1-დან იმ რაოდენობით, რაც განსაზღვრულია სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის წესით გასაცემი პენსიის ნორმის შესახებ“ 1925 წ. თებერვლის 26-ს თარიღითა და 77/804 №-რით გამოცემული („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1925 წ. 44 №-რი) დადგენილების თანახმად—1926 წ. ივლისის 1-თვის, დამზღვევი ორგანოების იმ ცნობების მიხედვით, რაც უწყებულ ადგილას 1925 წ. აპრილ—ივნისის პერიოდში არსებულ საშუალო სამუშაო ხელფას შეეხება.

სსრკ სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ **კუზიატინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1305 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 19-ს.

დადგენილება № 57 აკ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. ოქტომბრის 9.

748. სამუშაო ხელფასის ცნების განსაზღვრის შესახებ სარკინისგზო და წყლის ტრანსპორტისათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის გამოსაანგარიშებლად.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1926 წ. სექტემბრის 9-ს თარიღისა და 205/916 №-რის დადგენილება: „სამუშაო ხელფასის ცნების განსაზღვრის შესახებ სარკინისგზო და წყლის ტრანსპორტისათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის გამოსაანგარიშებლად“.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვევის მთავარ
სამმართველოს უფროსის მაგიერ **ბუღდანოვი.**

მუხ. 748

დადგენილება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

1926 წ. სექტემბრის 9. № 205/916.

სამუშაო ხელფასის ცნების განსაზღვრის შესახებ სარკინისგზო და წყლის ტრანსპორტისათვის სოციალური დაზღვევის გადასახადის გამოსაანგარიშებლად.

რადგანაც სარკინისგზო და წყლის ტრანსპორტის სხვადასხვა დაწესებულებასა და საწარმოში მიღებულია შრომის სასყიდლის განსაკუთრებული სახე, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო, — სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის გადასახადის ტარიფის შესახებ“ 1925 წ. თებერვლის 26-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 14 №-რი, მუხ. 107) დადგენილების მე-2 მუხლის განსავითარებლად და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ „სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის გადასახადის ტარიფის შესახებ 1925 წ. თებერვლის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების“ შეფარდების წესის თაობაზე“ 1925 წ. აპრილის 9-ს თარიღითა და 135/917 №-რით გამოცემული („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1925 წ. 23 №-რი) ინსტრუქციის მე-12 მუხ. დასამატებლად, — ადგენს:

1. სოციალური დაზღვევის გადასახადი დაერიცხება სარკინისგზო და წყლის ტრანსპორტის დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ გასაცემ შემდეგი სახის სამუშაო ხელფასს, ამ სამუშაო ხელფასის საკრედიტო წყაროების დამოუკიდებლად:

ა) ნორმალურ სამუშაო დროს წარმოებული მუშაობისათვის გასაცემ გასამრჯელოს, იმის მიუხედავად, თუ რა წესით გაიცემა ეს გასამრჯელო (თვიურად, დღიურად, ნაჭრობით, ნარდად, აკკორდად, ლოკალურ და ცენტრალურ ზედნართად და სხვ.);

ბ) ზედმეტი მუშაობისათვის და აგრეთვე ნორმაზე გადაცილებული მუშაობისათვის გასაცემ გასამრჯელოს;

გ) დატვირთვისათვის გასაცემ გასამრჯელოს და ზედმეტ სასყიდელს (ნორმალურ სამუშაო დროზე ზედმეტი მუშაობისათვის, მიწერილი სასათბობო საწყობებში მუშაობისათვის და სხვ.)

დ) საფუთო გამოსაღების გადახდევინებისათვის გასაცემ გასამრჯელოს (1926 წ. აგვისტოს 1-დან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. საფუთო გამოსაღების გადახდევინების სასყიდლად აგენტებისათვის გასამრჯელოს სახით მისაცემ თანხებზე სოციალური დაზღვევის გადასახადს გაიღებს ის ორგანო, რომელიც ამ გასამრჯელოს იძლევა.

ე) საერსო გასამრჯელოს ზედნართს, ყოველგვარ სარეზერვო გასამჯელოს და მატარებლის აგენტების მუდმივ დამატებითი გასამრჯელოს (სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ივნისის 3-ს თარიღისა და 169/362 №-რის დადგენილებით დამტკიცებული („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 1925 წ. 29 №-რის დამატება) „სარკინინაგზო ტრანსპორტზე სამუშაო დროისა, დასვენებისა, რეზერვისა და ყველა ამის აღნუსხვისა და სასყიდლის დებულების მე-19 მუხ. „ე" პუნ. თანახმად გასაცემი საგზაო სასყიდელი);

ვ) საკომანდო შედგენილობის პირთა გასამრჯელოს, რაც ეძლევათ მათ გზათა სახალხო კომისარიატთან რეზერვში ყოფნის დროს;

ზ) ყველა პრემიას, რაც გაიცემა პერიოდულად და რაც დაწესებულია ამ ჟამად და რაც შეიძლება დაწესდეს შემდგომ ცენტრში და ადგილობრივ: სათბობი მასალის ეკონომიისათვის, სასაქონლო-სასადგურო მუშაობისათვის, ღერძ-კოლოფის წვის შემცირებისათვის, წარმოებითი ხასიათის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებისათვის, სამანევრო მუშაობის შემცირებისათვის, შორი მანძილით წასასვლელ მატარებლის შედგენისათვის, უბილეთო მგზავრებისა და ბარგისა და ხელში საპერ ტვირთის უსწორ-უწესო გადახდვის აღმოჩენისათვის და სხვ.;

თ) მოკლევადიან კურსებზე (1 წელიწადზე არა მეტი ხანგრძლიობის) წარვლენილ მუშა-მოსამსახურეთათვის მისაცემ ჯამაგირს;

ი) საზღვაო ტრანსპორტზე სანავეურჭლო კომანდისათვის მისაცემ სასადილო ფულს;

კ) ნატურით მისაცემი კმაყოფის ღირებულებას, კოლექტიური ან შრომის ხელშეკრულობით დაწესებული შეფასების თანახმად, ხოლო ნატურით უფასოდ მიცემული ბინისა და კომუნალური მომსახურეობის გამოკლებით.

2. სოციალური დაზღვევის გადასახადი არ დაერიცხება შემდეგ თანხებს, რაც დაქირავებით მომუშავე პირთ ეძლევათ:

ა) დათხოვნის დროს გამოსასვლელ დახმარებას;

ბ) არგამოყენებული შვებულების კომპენსაციას;

გ) წარვლინებისათვის მისაცემ დღიურ სარგოს, გადასახლებისათვის მისაცემ დღიურ სარგოს და საწარმავლო ფულს, აგრეთვე, დღიურ სარგოს ნაცვლად, სამუშაო ხელფასის ყოველთვიურ ზედნართს, რაც გაიცემა თანახმად სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „საწარვლინებო სასყიდლის შესახებ" 1923 წ. აგვისტოს 28-ს თარიღითა და 54 №-რით გამოცემული დადგენილების („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 1923 წ. 5/29 №-რი) მე-8 მუხლისა და სსრკ შრ. სახ. კ-ტის მიერ „სისტემატიური წარვლინებისათვის დაწესებული სამუშაო ხელფასის ზედნართის შესახებ" 1926 წ. აპრილის 19-ს თარიღითა და 100/510 №-რით გამოცემული განმარტებისა („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 1926 წ. 17 №-რი);

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ისეთ ტანტიემას, ჯილდოს, პრემიას და გასამრჯელოს, რაც გაიცემა სპეციალური მინდობილობის შესრულებისათვის და რასაც ერთდროული გასამრჯელოს ხასიათი აქვს;

ე) ისეთ გასამრჯელოს, რაც სპეციალური მინდობილობის შესრულებისათვის ეძლევა არა სარკინისგზო და წყლის ტრანსპორტის დაწესებულებათა და საწარმოთა თანამშრომლებს, არამედ უცხო პირთ (გასამრჯელო პროექტების შესრულებისათვის, საბარგულე ცხენების გასინჯვისა და მკურნალობისათვის, საათების შეკეთებისათვის, თეთრეულის შეკერვისათვის და სხვ.);

ვ) საკუთარი იარაღის გაცვეთისა და სპეცტანისამოსისა და სხვა სპეცსაგნების მიუცემლობის გამო გასაცემ კომპენსაციას.

3. ამა დადგენილების 1-სა და მე-2 მუხ. ჩამოთვლილ თანხებზე, საფუთო გამოსაღების გადახდევინებისათვის გასაცემი გასამრჯელოს გამოკლებით, 1924 წ. ოქტომბრის 1-დან წარმოებულ უნდა იქნეს ხელახალი გამოანგარიშება. საფუთო გამოსაღების გადახდევინებისათვის გასაცემი გასამრჯელოს ხელახალი გამოანგარიშება წარმოებულ უნდა იქნეს 1926 წ. აგვისტოს 1-დან.

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივნის მაგიერ **კუზიატინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1306 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 20-ს.

დადგენილება № 37 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

749. სომხეთის სსრ ნორ-ბაიაზეთისა და დელიჟანის მაზრების სოფლის მოსახლეობის 1926-27 წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის წესის შესახებ.

„არასამიწათმოქმედო საშოვართა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის წესისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთების ცხრილისა და შემოსავლიანობის ნორმების უცვლელად დატოვების შესახებ“ 1926 წ. აგვისტოს 5-ს თარიღითა და 27 №-რით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-9 №-რი, მუხ. 699) დადგენილების მე-5 მუხლის გამონაკლისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—1926-27 წ. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების შეფარდების წესის შესახებ—1926 წ. ივნისის 29-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან კრ. 1926 წ. 43 №-რი, მუხ. 308) დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, დაწესებულ იქნეს სომხეთის სსრ ნორ-ბაიაზეთისა და დელიჟანის მაზრებისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემდეგი განაკვეთები საშემოსავლო მანეთზე:

შემოსავლის პირველ	20	მან.	მჭამელზე					2,4	კაპ.
ზედმეტ-შემოსავალზე	20	მან.	ზევით	30	მან-დე	მჭამელზე		3,6	კაპ.
„ „	30	„	„	40	„	„		6	კაპ.
„ „	40	„	„	50	„	„		12	კაპ.
„ „	50	„	„	60	„	„		20,4	კაპ.
„ „	60	„	„	80	„	„		25,2	კაპ.
„ „	80	„	„	100	„	„		27,6	კაპ.
„ „	100	„	„	—	„	„		30	კაპ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. ოქტომბრის 14. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1307 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 21-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

750. მიწისძვრისაგან დაზარალებული ქალ. ლენინაკანისა და მისი რაიონების მოსახლეობისათვის ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების გადახდევინების შეჩერების შესახებ.

რადგან ქალ. ლენინაკანისა და მისი რაიონების მოსახლეობა განიცდის 1926 წ. ოქტომბრის 22-ს მომხდარი მიწისძვრით გამოწვეულ უბედურებას—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შეჩერებულ იქნეს, ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განსაკუთრებული დადგენილების გამოცემამდე, ქალ. ლენინაკანისა და ამასთანავე დართულ სიაში აღნიშნული სოფლების მოქალაქეთაგან ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისა და საამისო ნარჩენების გადახდევინება.

2. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა, 2 კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, უნდა წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს კანონპროექტი მიწისძვრისაგან დაზარალებული მოსახლეობის საგადასახადო შეღავათების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ოქტომბრის 26. ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი.

ს ი ა

1926 წ. ოქტომბრის 22-ს მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სოფლებისა:

1. ბაიანდური
2. მცირე ყარაქლისი
3. დაარლი
4. ქიალალი
5. თავშანყიშლაღი
6. აღინი
7. დ. ყარაქლისი
8. ყაზარაპატი
9. ალექსანდროვკა
10. კაპული
11. არალიხი
12. სვანვერდი
13. მოლა-მუსა
14. ჩლოხანი
15. არმუთლი
16. დუზკიანდი
17. სირვანჩუხი
18. ბოლაზყიასანი
19. თოფარლი
20. კონაღკრანი
21. ოჩახკული
22. კანოხლი
23. ართაყილისა
24. მოლაგეგჩა
25. ოხჩოლი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ოქტომბრის 26. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1312 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 27-ს.

ცირკულარი № 20 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. მაისის 14.

751. საშეღავათო სარკინისგზო ბლანკებით უმუშევართა გადაყვანის შესახებ.

აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის შრომის სახალხო კომისარიატებს.

მე-4 ტარიფის საშეღავათო სარკინისგზო ბლანკებით უმუშევართა გადაყვანის საქმის მოსაწესრიგებლად—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. საშეღავათო ტარიფის მოწმობის მიცემა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც უმუშევარის დოკუმენტებით ირკვევა, რომ გადაყვანა უზრუნველჰყოფს მისთვის სამუშაოს მიცემას, ან ის ადგილი, სადაც უმუშევარი მიემგზავრება, მისი სამშობლოა ან და ამ ადგილთან იგი დაკავშირებულია ნათესაობით თუ შრომით.

2. შეღავათის მიცემა იმ რაიონში გადაყვანისათვის, რომელიც უმუშევრობის მხრით საიმედო არ არის, შეიძლება მხოლოდ იმ ადგილის შრომის ბირჟასთან შეთანხმებით, სადაც უმუშევარი მიდის.

3. შეღავათი უნდა გაიცეს უმუშევრის საბოლოო პუნქტამდე გადაყვანისათვის დანიშნულებისამებრ, თანახმად სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. მარტის 17-ს თარიღისა და 69/113 №-რის ცირკულიარის მე-4 მუხლისა (ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. აპრილის 2-ს თარიღისა და 00125 №-რის მისამართი ქაღალდით წინადადება მიეცა შრომის სახალხო კომისარიატებს ეს ცირკულიარი სახელმძღვანელოდ მიიღონ).

4. უმუშევრისათვის გადაყვანის შეღავათის მიცემისთანავე ეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს იმ ადგილის შრომის ბირჟას, სადაც უმუშევარი მიემგზავრება. უკეთუ უმუშევარი მიმართავს შრომის ბირჟას გადაყვანის შეღავათის მიცემისათვის, იგი გამოარკვევს შრომის ბირჟების მიერ გაგზავნილი ცნობებით, ხომ არა ჰქონდა უმუშევარს გადაყვანის შეღავათი მიცემული.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის ბაზრის განყოფ. გამგე **გრიგორიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1314 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 29-ს.

გ ა ს წ ო რ ე ბ ა.

	დაბეჭდილია:	**უნდა იყოს:**
1) ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-2 №-რი, მუხ. 602, პუნ. 2.	„გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფს, დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო“.	„გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფს, დაამტკიცებს სსრკ სახალხო კომისართა საბჭო“.
2) ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-2 №-რი, მუხ. 601, 602, 603, სათაურ წინ.	„დამტკიცებ. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებ. კომიტეტის მე-2 სესსიის მიერ 1924 წ. სექტემბრის 4-ს“.	„დადასტურებულია ა/კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის მე-2 სესსიის მიერ“.